DGAP

Deutsche Gesellschaft
für Auswärtige Politik e.V.

განცხადება 2016/2017
კარლ ფრიდრიხ გორდელერის სახელობის დემოკრატიული მმართველობის კოლეჯი: რობერტ ბოშის ფონდისა და DGAP-ის უწყვეტი განათლების ერთობლივი პროგრამა

ბერლინი, 2015 წლის დეკემბერი

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

მსურს მოგაწოდოთ ინფორმაცია კარლ ფრიდრიხ გორდელერის დემოკრატიული მმართველობის კოლეჯის შესახებ. კოლეჯის საშუალებით ახალგაზრდა ლიდერები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელარუსიდან, საქართველოდან, მოლდოვადან, რუსეთიდან, თურქეთიდან და უკრაინიდან იმაღლებენ კვალიფიკაციას დემოკრატიული მმართველობის საკითხებში, რაც ხელს უწყობს სამოქალაქო/საჯარო (ადმინისტრაცია, არასამთავრობო ორგანიზაციები) და კერძო სექტორებში პასუხისმგებლობის ამაღლებას.

როგორც წლების მანძილზე კოლეჯის დირექტორი, გთხოვთ ხელი შეუწყოთ განაცხადის გავრცელებას თქვენი კონტაქტების მეშვეობით და კვალიფიციურ თანამშრომლებს კონკურსში მონაწილეობის მიღება შესთავაზოთ.
კოლეჯი მიმართულია ხელმძღვანელებზე, რომლებსაც გააჩნიათ რამდენიმე წლიანი გამოცდილება საჯარო ან სამოქალაქო სექტორში, კომერციულ დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში.
მათ უნდა გააჩნდეთ მაღალი აკადემიური მოსწრება უმაღლესი სასწავლებლიდან, უნდა ინტერესდებოდნენ დემოკრატიული მმართველობის საკითხებითა და პოლიტიკური დისკუსიებით. ასევე, აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში და ძალიან კარგად უნდა ფლობდნენ გერმანულ ენას.

ჩვენ მიერ შერჩეული მონაწილეები, შემდგომში:

- ამყარებენ მნიშვნელოვან კონტაქტებს მაღალი რანგის ექსპერტებთან საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და მმართველობის საკითხებში გერმანიიდან და ევროკაშირის სხვა ქვეყნებიდან;
- იღრმავებენ ცოდნას დემოკრატიული მმართველობისა და ადმინისტრირების მოდერნიზაციის თემებთან დაკავშირებით, რის შემდგომაც მოიპოვებენ გერმანიის უნივერსიტეტის შესაბამის სერთიფიკატს;
- განივითარებენ მმართველობით კომპეტენციებსა და ცოდნას პროექტების მენეჯმენტის მიმართულებით;
- ახლოდან ეცნობიან იმ გერმანული ინსტიტუციების საქმიანობას, რომლებიც მათ მსგავს სფეროებში მოღვაწეობენ;
- ხდებიან ახალგაზრდა ხელმძღვანელების საერთაშორისო ქსელის ნაწილი.

Rauchstraße 17/18
10787 Berlin
ტელ.: +49 (0)30 25 42 31-47
ფაქსი: +49 (0)30 25 42 31-71
goerdeler-kolleg@dgap.org
www.dgap.org

DGAP

Deutsche Gesellschaft
für Auswärtige Politik e.V.

ამასთან, კოლეჯის ფარგლებში მონაწილეები სამშობლოში ახორციელებენ საკუთარ პროექტებს დემოკრატიული მმართველობის კუთხით.

დამსაქმებლებს არ მოუწევთ არანაირი ხარჯის გაწევა საკუთარი თანამშრომლების მონაწილეობის დასაფინანსებლად. მგზავრობის, ვიზის, საცხოვრებლის, ასევე კვების ხარჯების დიდი ნაწილი და სემინართან დაკავშირებული სხვა თანხები ანაზღაურდება რობერტ ბოშის ფონდის მიერ.

თქვენ, როგორც ხელმძღვანელს, შეგიძლიათ მხარი დაუჭიროთ თქვენს თანამშრომელს საკონკურსო პროცესისათვის სარეკომენდაციო წერილით (ამასთან დაკავშირებით დამატებითი მითითებების მიღება კონკურსანტებს შეუძლიათ კოლეჯის ვებ-გვერდზე). იმ შემთხვევაში თუ თქვენი თანამშრომლები შერჩეულნი იქნებიან, გთხოვთ მისცეთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ კოლეჯის მიერ წლის განმავლობაში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში. ეს არის სამ კვირიანი სემინარი გერმანიაში (2016 წლის 27 აგვისტოდან 16 სექტემბრამდე), ხუთ დღიანი შუალედური სემინარი 2017 წლის მარტში და დასკვნითი, სამ დღიანი სემინარი ბერლინში, 2017 წლის აგვისტო/სექტემბერში.

დამატებითი ინფორმაცია კოლეჯთან დაკავშირებით გერმანულ ენაზე შეგიძლიათ მიიღოთ თანდართულ ბროშურაში და ვებ-გვერდზე: www.goerdeler-kolleg.de.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2016 წლის 22 თებერვალი.

კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ კოლეჯის ხელმძღვანელს, ქალბატონ ლეა სოფი დევორეცკის, საგარეო პოლიტიკის გერმანული საზოგადოებიდან (DGAP).
სატელეფონო საუბრის შემთხვევაში გერმანულად ან ინგლისურად:
ტელ: 0049 30 25 42 31 47
წერილობითი კითხვების შემთხვევაში გერმანულად, ინგლისურად ან რუსულად. goerdeler-kolleg@dgap.org

მადლობას გიხდით მხარდაჭერისათვის.

საუკეთესო სურვილებით,

Günter Verheugen

პროფესორი გიუნტერ ფერჰოიგენი
კოლეჯის დირექტორი
წარსულში ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი